

ივლისი, 2025 კლიმატური დახასიათება

ივლისის თვის დასაწყისში, ასევე, თვის შუა რიცხვებში საქართველოში ამინდს, ძირითადად, განაპირობებდა ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული დაბალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული ციკლონური აქტივობები, როდესაც ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებს, ცალკეულ ტერიტორიებზე წყალმოვარდნებს და მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების გააქტიურებას. ამასთან, განსაკუთრებით, თვის ბოლო დეკადაში სამხრეთიდან ცხელი ჰაერის მასების ინტენსიურმა გადმოტანამ გავლენა იქონია მაღალი ტემპერატურული ფონის ჩამოყალიბებაზე.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ივლისი საკმაოდ თბილი იყო. დაწყებული 1956 წლიდან, მიმდინარე წლის ივლისი იყო რიგით მე-7 ყველაზე თბილი 2000, 2018, 2010, 2020, 2011 და 2021 წლების შემდეგ (ნახ.1).

მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური (1991-2020 წ.წ.) ნორმიდან საშუალოდ +1.1 [+0.0-დან, +1.8-მდე]°C შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით რაჭა-ლეჩხუმში, შიდა ქართლსა და მცხეთა-თიანეთში.

ივლისის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე +24, +27°C, მთიან ნაწილში +20, +23°C, ხოლო მაღალ მთაში +16, +19°C-ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები, თვის ბოლო რიცხვებში დაფიქსირდა და ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს +40, +43°C-ს კოლხეთის დაბლობზე და ზემო იმერეთში, ასევე, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო ქართლში (თბილისი) და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში - ივრის ზეგანზე მიაღწია. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვა არ დაფიქსირებულა.

ქვეყნის დაბლობი და ვაკე ტერიტორიის უმეტეს ნაწილში და ასევე, ცალკეულ მთიან რაიონებში აღსანიშნავია ე.წ. ტროპიკული ღამეების (ღამის ტემპერატურა >20°C) სიხშირე (17-24 დღე). ტროპიკული ღამეების განმეორებადობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ. ამბროლაური (17 დღე), სადაც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე, ასეთი ღამეები ამ რაოდენობით აღინიშნა მხოლოდ ერთხელ - 2023 წელს აგვისტოში. საქართველოს მთათაშორისი ბარის ცენტრალურ ნაწილში ასევე მაღალი იყო ექსტრემალურად ცხელი დღეების (დღის ტემპერატურა $\geq 35^{\circ}\text{C}$) განმეორებადობა (8-14 დღე). ასეთი დღეების სიხშირით გამოირჩეოდა დედაქალაქი (14 დღე), სადაც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე, ივლისის თვეში ასეთი დღეები მეტი რაოდენობით აღინიშნა მხოლოდ ორჯერ - 2000 (19 დღე) და 2018 (16 დღე) წლებში.

ივლისის განმავლობაში ყველაზე დაბალი ტემპერატურები ქვეყნის ტერიტორიაზე თვის პირველ დეკადაში დაფიქსირდა, როდესაც ქვეყნის მთიან და მაღალმთიან ნაწილში ტემპერატურა +9, +5°C-მდე დაეცა.

ივლისის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმასთან ახლოს, ან უფრო მცირე ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, ეს იყო ყველაზე მშრალი ივლისი 2022 წლის შემდეგ (ნახ.2).


ყველაზე მშრალი პირობები კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში და მიმდებარე მთიან რაიონებში დაიკვირვებოდა, სადაც ნალექების რაოდენობა (20-50 მმ) მრავალწლიური ნორმის 40-60%-ს შეადგენდა. კლიმატურ ნორმასთან მიმართებით, შედარებით ნალექიანი (30-60%-ით მაღალი) იყო შიდა და ქვემო ქართლის ბარი, თუმცა ნალექების თვის ჯამების უდიდესი რაოდენობა (130-160 მმ), ჩვეულებრივ, სანაპირო ზოლში მოვიდა. ამასთან, ნალექიანი დღეების სიმცირით გამოირჩეოდა ლიხის ქედი და მიმდებარე რაიონები იმერეთის მხარეს, განსაკუთრებით, ზემო იმერეთი (5 დღე), სადაც ნორმასთან შედარებით 7 დღით ნაკლები ნალექიანი დღე აღინიშნა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ნორმაზე დაბალი ნალექიანობა განპირობებული იყო, ძირითადად, ნალექიან დღეთა სიმცირით. ამასთან, ცალკეულ დღეებში ქვეყნის ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებს.


3 ივლისს სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის ძლიერი ნალექი აღინიშნა კახეთში, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. კერძოდ, ქ. თელავში დღის განმავლობაში (12 საათში) თვის ნორმის ოდენობის (67.0 მმ) ნალექი, ხოლო ერთ დღე-ღამეში (70.4 მმ) თვის მანძილზე მოსული ნალექის ძირითადი რაოდენობა (70%-მდე) მოვიდა, რაც ივლისის თვისთვის განეკუთვნება 50-წლიანი განმეორებადობის ნალექს.

21 ივლისს წვიმის სახით მოსული ძლიერი ნალექი აღინიშნა გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და სამცხე-ჯავახეთში (ჩოხატაურის, ცაგერის, ლენტეხის და ადიგენის მუნიციპალიტეტები). დაბა ადიგენში დღის მანძილზე (12 საათში) 50.0 მმ, ხოლო ღამის განმავლობაში დაბა ლენტეხში მოვიდა ნალექის თვის ნორმის თითქმის 50% (53.0 მმ), რაც სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიას განეკუთვნება. მოსულმა ძლიერმა ნალექმა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მდინარეების დონის მნიშვნელოვანი მატება, კალაპოტიდან გადმოსვლა და შედეგად, ცალკეული სოფლებში საცხოვრებელი კარ-მიდამოების და ქუჩების დატბორვა, ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის და ხიდების დაზიანება გამოიწვია. ადიგენის მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა ღვარცოფის განვითარებას. ღვარცოფული მასის მოვარდნამ რამდენიმე ოჯახი დააზარალა.

31 ივლისს დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი აღნიშნა კახეთში, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. ქ. თელავში ქარის მაქსიმალური სიჩქარე 21 მ/წმ დაფიქსირდა. ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა ინფრასტრუქტურა, ქარმა მოგლიჯა მრავალწლიანი ხეები და ჩახერგა საავტომობილო გზები. შეიქმნა ელექტროენერჯის მიწოდების და კომუნიკაციის პრობლემები.



ნახ.1. ივლისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების ივლისის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან 1991-2020 წ.წ.) მიმართებაში